პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №_ _

2023 წლის _ _ ივნისი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ 2022 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ 2022 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ანგარიში 2022 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ 2022 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:

აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:

განყოფილების უფროსი — მაია ბერაძე

კომისიის თავმჯდომარე — ლევან ჩანქსელიანი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-482316077**
თარიღი: **09/06/2023**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

გიგზავნით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის 2022 წლის III - IV კვარტლის ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ.

დანართი 3 ფურცელი.

პატივისცემით,

გრიგოლი ყურაშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის

კულტურის, განათლების, სპორტისა

და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის

მიერ 2022 წლის III-IV

კვარტლში გაწეული მუშაობის შესახებ

კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური წარმართავს საქმიანობას წყალტუბოს მუნიციპალიტეტში კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის შემდგომი განვითარებისათვის.

კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებითა და ფინანსური მხარდაჭერით 2022 წლის მესამე მეოთხე კვარტალში კულტურული, ახალგაზრდული და სპორტული პროგრამების ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა აქტივობები:

22 ივლისს გაიმართა კლასიკური კინო მუსიკის საღამო ზაზა კილასონიას მონაწილეობით.

8 აგვისტო 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ლიტერატურულ-თეატრალიზებული ღონისძიება

27 სექტემბერი სოხუმის დაცემის დღისადმი მიძღვნილი ლიტერატურული ღონისძიება.

30 სექტემბერი სასკოლო სპორტული ოლიმპიადა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კერძო და საჯარო სკოლების სხვადასხვა სახეობის სპორტში.

1 ოქტომბერს კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით, წყალტუბოში ტრადიციული სახალხო დღესასწაული ,,შემოდგომის წყალტუბო" მრავალფეროვანი და მასშტაბური ღონისძიებებით აღინიშნა.

სახალხო დღესასწაულის ფარგლებში წარმოდგენილი იყო: ფოლკლორული და თეატრალიზებული სანახაობები; საგამოფენო სივრცეები; ეთნოგრაფიული კუთხეები; დღის განმავლობაში გაიმართა სხვადასხვა შემეცნებითი; კულტურული და სპორტული ღონისძიებები; დაიწურა ყურძენი და ჩამოისხა ბრენდირებული ღვინო - „შემოდგომის წყალტუბო“, იმერულ ფაცხებში კი სოფლის ნობათი და ტკბილეული იქნა წარმოდგენილი.

სახალხო დღესასწაულის ,,შემოდგომის წყალტუბო"-ს ფარგლებში გაიმართა წყალტუბოს საპატიო მოქალაქეების დაჯილდოება, ჩატარდა საზეიმო კონცერტი და ღონისძიება დასრულდა ფოიერვერკით.

15 ოქტომბერს გაიმართა წყალტუბოში ბერძნულ-რომაული ჭიდაობის სტილისდამფუძნებლის კედირ ჯიმშელეიშვილისა და ახალგაზრდებში ყოფილი

საბჭოთა კავშირის ჩემპიონის დავით აფხაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი 2011-2013 წელს დაბადებულ ჭაბუკთა შორის სხვადასხვა წონით კატეგორიაში. მონაწილეობა მიიღო წყალტუბოს, ქუთაისის, ბორჯომის, საგარეჯოს, ოზურგეთის, ლანჩხუთისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტის სპორტსმენებმა. საპრიზო ადგილზე გასული სპორტსმენები დაჯილდოვდნენ თასებით, მედლებითა და დიპლომებით.

1 ნოემბერს წყალტუბოში, სიყვარულის ხიდთან ჩატარდა პოეზიის საღამო, სადაც ჩართული იყვნენ ქალაქის საჯარო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეები და პედაგოგები; თვითმმართველობის წარმომადგენლები და პოეზიის მოყვარულები. ღონისძიების დასასრულს მონაწილეებს გადაეცათ სიმბოლური საჩუქრები.

10-11 ნოემბერს გაიმართა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ფარგლებში - მაგიდის ჩოგბურთისა და კალათბურთის (3X3) ტურნირები, სადაც მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლები. საპრიზო ადგილზე გასული სპორტსმენები დაჯილდოვდნენ თასებით, მედლებითა და დიპლომებით.

გამარჯვებული გუნდები ასპარეზობას განაგრძობენ რეგიონალურ თამაშებზე, ესენია:

სასულიერო გიმნაზია (ვაჟები) - ჩოგბურთი

სასულიერო გიმნაზია (ვაჟები) - კალათბურთი

სოფ. ოფურჩხეთის საჯარო სკოლა (გოგონები) - კალათბურთი

24-25 ნოემბერს გაიმართა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ფარგლებში - ფრენბურთის ტურნირები (გოგონები, ვაჟები), სადაც მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლები. საპრიზო ადგილზე გასული სპორტსმენები დაჯილდოვდნენ თასებით, მედლებითა და დიპლომებით.

გამარჯვებული გუნდები ასპარეზობას განაგრძობენ რეგიონალურ თამაშებზე, ესენია: სოფ. მაღლაკის N1 საჯარო სკოლა(ვაჟები), ოტია იოსელიანის სახ. N1 საჯარო სკოლა (გოგონები).

6 დეკემბერს გაიმართა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ფარგლებში - ხელბურთის ტურნირი, სადაც მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლები. საპრიზო ადგილზე გასული სპორტსმენები დაჯილდოვდნენ თასებით, მედლებითა და დიპლომებით. გამარჯვებული გუნდი ქ. წყალტუბოს N4 საჯარო სკოლა (ვაჟები) ასპარეზობას განაგრძობს რეგიონალურ თამაშებზე.

21 დეკემბერს გაიმართა ფესტივალი - "ხელბურთი ყველასათვის".

ღონისძიებაში მონაწილეობდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების შერეული სქესის ნაკრები გუნდები. საპრიზო ადგილზე გასული სპორტსმენები დაჯილდოვდნენ თასებით, მედლებითა და დიპლომებით. ფესტივალი მიიღებს ყოველწლიურ ხასიათს.

22 დეკემბერს წყალტუბოში საზეიმოდ აინთო ქლაქის მთავარი ნაძვის ხე. ღონისძიების ფარგლებში მოეწყო საახალწლო საგამოფენო სივრცე, სადაც მონაწილეობას

ღებულობდნენ ადგილობრივი მეწარმეები. დღის ბოლოს ჩატარდა საახალწლო საზეიმო კონცერტი და საღამო დასრულდა ფოიერვერკით.

22 დეკემბერს საზეიმო ვითარებაში 2022 წლის წარმატებულ სპორტსმენებს გადაეცადთ ფულადი ჯილდო.

24-25 დეკემბერს გაიმართა - როინ მეტრეველის ხსოვნისადმი მიძღვნილი ხელბურთის რეგიონალური ტურნირი.
მონაწილეობდა სხვადასხვა ქალაქების გუნდები. საპრიზო ადგილები გადანაწილდა შემდეგნაირად:
I წყალტუბო
II სამტრედია
III ქუთაისი

საპრიზო ადგილზე გასული სპორტსმენები დაჯილდოვდნენ თასებით, მედლებითა და დიპლომებით.

კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით შესყიდული იქნა საბავშვო საახალწლო ტკბილეული, რომელებიც წყალტუბოს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობამ გადასცა: ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის და დღის ცენტრ ,,ჩვენი სახლის'' აღსაზრდელებს, ასევე საახალწლო საჩუქრები გადასცეს მაღალმთიანი სოფლებში მცხოვრებ ბავშვებს.